




№ 8 საოხუნჯო ჟურნალი

„სათაბლა“ გამოვა დრო-გამოშვებით და დაიბეჭდება ისეთ ქალაქზე, რა ქალაქსაც ვიშოვით. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ თჳილისში კანტორა „განათლებას“.

ზათესულის სურათები:



ჩვენი ახალგაზრდობის მუყაითობა.



6. ჩნიკვაძის ხსოვნას.

ვით არწივი მაღალ კლდიდან
მედგრაო უცქერს ძირს სამყაროს
და აქვე აქვს დასაწყისი
სასიცოცხლო წმინდა წყაროს
ჩვენი მგოსნის მისწრაფებაც
ამ მთის მწვერვალს დაედაროს!..

უყვარს მუშა, მისი ბედის
გულს ჩაიკრას თან ატაროს,
მისთვის სცოცხლობს... მასვე უმღერს
გამარჯვებას სანეტაროს.

დღეს ეს მოკვდა... ჩვენი გულოც
ძლიერ ხშირათ დაიკვნესებს,
თანაც ხსოვნა შეინახავს,
ღრმათ გაიდვამს ჩვენში ფესვებს
რომ მგოსანმა პატივი სცა
კალმით მუშათ ინტერესებს.

იონა თლუღელი.

თაზა-ბათუმი.

ბათუმს დიდი ისტორია აქვს, მა-
გრამ მოკლეთ იტქმის.

პაწია ქალაქი იყო, არც პორტი,
არც ციხე-სიმაგრე. მშვენიერ ბუ-
ნებრივ ნავთ-სადგურში იდგნენ თათ-
რის ფილიუგები, არც დელვისა ეში-
ნოდათ, არც წყლის ქვეშა ნაევბისა.

რუსეთმა ბათომი წაართვა თათ-
რებს და ფოთი მოიძულა. რაც
ფოთში გააკეთა რუსეთის მთავრო-
ბამ, ყველაფერს წიხლი ჰკრა და
ენლა ბათომის გაკეთება დაიწყო.

ევროპამ ბათომი თავისუფალ პორ-
ტათ აღიარა—პორტო-ფრანკოდ.
რუსეთს ნება არა ჰქონდა ბათუმში
არც ზარბაზნები მიეტანა, არც ციხე-
სიმაგრე გაეშენებინა, არც დამოუ-
ნები...

მაგრამ ალექსანდრე მეორემ სხვა-
ფრივ ინება. გამართა დამოუნიები,
დიდი ბაჟი დაადო ევროპიდან მო-
ტანილ საქონელს, დაწყო ზარბაზ-
ნები, გამართა ციხე სიმაგრე და
შეუდგა სამზადისს—თუ კიდევ და-
ვუწყე ომი ოსმალეთს, ჯერ ტრა-
პენზონს ავიღებ, მერე სამსონს, მერე
კონსტანტინებოლს და მერე მთელი
აზია ჩემი იქნებაო.

წააგო ომი ნიკოლაიმ. ისევ თათ-
რები მოვიდნ და ბათომი ორ ნა-
წილად დაჰყვეს. ერთს ნაწილს და-
არქვეს ბურდა ბათუმ, მეორეს—
ორდა ბათუმ.

მოვიდნენ გერმანელები. არც ბურ-
და ბათუმს ახლეს ხელი არც ორდა
ბათუმს. ცხოვრობდნ ბათუმში მშვი-
დობიანად. ბათუმზე მოდიოდა და
მიდიოდა ყოველგვარი საქონელი.

წავიდნენ გერმანელები და მოვი-
დნენ ბათუმში ინგლისელები.

დაიწყო ვაჭრობა. ინგლისელი გე-
ნერლები ყოველ დღე რკინის გზით
დასეირნობდნ ბათუმიდგან ბაქოს
და ბაქოდან ბათუმს.

ინგლისელ გენერლებს მთელი
საქართველოსი, სომხეთის და აზერ-
ბაიჯანის რესპუბლიკები უნდოდათ
გადაყლაპათ, მაგრამ ლოიდ ჯორჯ-
მა სთქვა:

— გემრიელი ლუქმაა, მაგრამ
კოტა ფხიანია და საშიშია: შეიძ-
ლება ყელზე დაგვადგეს და გაგვეჩ-
ხიროს. მოდი ისევ თავისუფლება
მივცეთ—თავისუფლება პოლიტიკუ-
რი და მონობა ეკონომიური.

გამოცხადდა საქართველოს, სომ-
ხეთისა და აზერბაიჯანის თავისუფ-
ლება.

ბათუმი? მოდი ბათუმს ნურავის
მივცემთ, სთქვეს ინგლისელებმა.
არც თათარს დაეწვის გული, არც
ქართველს, არც რუსს, არც სომეხს
და არც აზერბაიჯანელს.

ეს რომ დენიკინმა გაიგო, სთქვა:
ბათუმი ჩემიაო, ბალშევიკმა—ჩემიაო,
საქართველომ—თამარ მეფის კოშკია
ბათუმში და აბა ვისია ბათუმი თუ
არა ჩვენი. ვიღაც გენერალმა ტერ-
მენმა და ვიღაც ჯაფარიძემ კიდევ
ახალი სახელმწიფო შეთხზეს—აჭა-
რისტანი და ბათუმი სატახტო ქა-
ლაქათ გამოაცხადეს.

ოსმალეთი გულში იცინოდა: ქვი-
შა წავა და წამოვა, წყალი დარჩება.
ინგლისელი წავა, დენიკინიც, ბალ-
შევიკები თავის სოროს მოაძებნი-
ნებენ. პატარა საქართველო ბათუმს
ვერ დაიჭერს და ისევ ჩვენი იქნება.
ახალი სახელიც დაარქვეს ბათუმს:
თაზა ბათუმ (ახილი ბათუმი).

ინგლისიდან დეპეშა დეპეშაზე მო-
დიოდა.

გუშინ წინ ასეთი დეპეშა მოვიდა:
ბათუმი მიეცით ქართველებს და
ჩვენი ჯარი წამოვიდეს შინ.

გუშინ მეორე დეპეშა: ბათუმი არა-
ვის დაანებოთ. ჯარი დარჩეს.

დღეს მესამე დეპეშა: ჯარი წამო-
ვიდეს, ბათუმი მიეცით საქართვე-
ლოს.

კიდევ ახალი დეპეშა. ზალი ლო-
იდმა ბათუმი აიფეთქეთ, ნურავისი
იქნება.

და შეუდგნენ ინგლისელები ბა-
თუმის ციხის დანგრევას.

ააფეთქეს ფორტები, გააფუქეს
ზარბაზნები.

გეგეტიკორს გული მოუვიდა, ბა-
თუმს რად მიფუქებოთ. დღეს თუ
ხვალ, ჩემი უნდა იყოსო.

— ხვალ კი არა, დღესვე მიირ-
თვი თაზა-ბათუმი, ახალი ბათუმი,
უსიმაგროთ, უფორტებოთ, უზარ-
ბაზნებოთ.

— მაღლობელი განლაგართო,—
უპასუხა გეგეტიკორმა, ოღონდა თქვენ
მიბრძანდი ბათუმიდან და მერე მე
ვიციო.

გუშინ ამბავი მოვიდა: ბათუმი
ქართველებს მიეცითო.

ხვალ როგორი დეპეშა მოვა,
არავინ იცის, არც მე ვიცი.

თაზა ბათუმელი.

„ტ ი ლ ე ბ ი“ *

ერთი უყურეთ ამ ტილებს
როგორ აღიან ჩაღიან,
ჩემის სისხლითა ცოცხლობენ
და საზიზრობას ჩაღიან.

ტილნო, ჩემს ტანზედ გაზდილნო,
რად ვეღარ მოგისვენიათ,
ნელ ნელის კბენით რომ მშხამავთ
ნამუსით არა გრცხვენიათ!?

მაგრამ ვინ მისცათ ნამუსი
ბაღლინჯოებს და ტილებსა,
დასაწვავ-დასასრისებსა,
როგორც უმგავნო მღილებსა.

დამუსხეთ როგორც გნებადეთ,
მე თქვენის კბენით ვფრთხილდები,
ალალი სისხლის მწოველნო
კბენართ არ შეეუშინდები.

შემქამეთ, მაგრამ ვერ შემქამთ
თქვენის უჯიშო კბენითა
უმგავნოთ მოშხამულეობო
სხვათა ენით და სენითა.

ტილთ არ მოუკლავთ ქვეყანა
ქვეყანა ჟლიტავს ტილებსა,
ნამუს ახდილებს, უმსგავსებს
და მუღამ შერცხვენილებსა...

ძველი.

*) სიტყვა „ტილი“ ბევრს არ მოეწონება,
გაფურტუნებს და ზიზლით გადაისვრის ჩემს
ლექსთან ერთად ამ ნომერსაც, მაგრამ დამშვიდ-
დით ბატონებო, წაიკითხეთ ექიმ. ივ. ელიაშვი-
ლის წერილი „ჯეჯილში“ ტილებზე და მაშინ
გამამტყუნებთ.



**ბალშევიკები
თბილისში.**

ფილიპე მახარაძეზე და მიხა ცხაკაიაზე კი არ მოგახსენებთ.

თბილისში მოვიდნენ ნამდვილი რუსის ბალშევიკები მოსკოვიდან.

მოვიდნენ და გაოცდნენ.

— ეს რა ამბავია? არც ერთი სახლი დანგრეული არ არის!

ნახეს დამწვარი შენობა რუსთაველის პროსპექტზე, სადაც პალას-ოტელი იყო და გაეხარდათ.

— აჰა, ძლივს ერთი დამწვარი სახლი არა ვნახეთ? ვინ დაწვა ეს სახლი?

— შემთხვევით წაეკიდა ცეცხლი.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ თუ რევოლიუციის დაწყებიდან აქამდე არავის არც ერთი სახლი არ დაუნგრევია?

— არა, ჩვენში რევოლიუცია მოხდა უცეცხლოდ და უმახვილოდ.

— რუსეთშიაც რევოლიუცია უცეცხლოდ და უმახვილოდ მოხდა მაგრამ რევოლიუციის გასაღრმავებლათ ჩვენ ცეცხლიც ვინმარეთ, მახვილიც, ზარბაზნებიც და ტყვიის მტორცხნელებიც. სახლებიც ბევრი დავანგრეთ, ქარხნებიც, ხალხიც ბევრი დაეხოცეთ. თქვენ აქ, სჩანს, რევოლიუცია არ გაგიღრმავებიათ.

— როგორ არა... მაგრამ ცეცხლითა და მახვილით არა.

— საკვირველია... მერე როგორ შეიძლება რევოლიუციის გარდამავება უცეცხლოთ, უმახვილოთ და უსისხლოთ? არც მოქალაქეთა შორის გქონიათ ომი?

— არა.

— კარგი და სომხეთმა რომ დავამარცხათ და თბილისი ანდრანიკემ აიღო, არც მაშინ დაშავებულა ქალაქი?

— ზღაპარი მოგიგონიათ, სომხეთი ბორჩალოში დამარცხდა. ანდრანიკი გაიქცა. ხომ ხედავთ, ტყუილს მოკლე ფეხები ჰქონია.

— ვერც აზერბაიჯანმა დაგაკლოთ ვერაფერი?

— ვერა. უკვე ზავია შეკრული აზერბაიჯანთან.

— არც დენიკინი მოსულა საქართველოში?

— არა. ბარათოვი კი იყო და წავიდა. სამწუხაროდ, ორი ფეხით მოვიდა აქ და ცალი-ფეხით დაბრუნ-

და რუსეთში. ესეც ბალშევიკის ბრალი იყო; ბალშევიკმა ყუმბარა ესროლა.

— არც ინგლისელებს დაუშავებიათ თბილისი?

— არა.

ქუჩების დათვალიერების შემდეგ ბალშევიკები იყვნენ სასახლეში, გარეშე საქმეთა და სხვა სამინისტროებში და ყველგას გაოცებან აცხადებდნენ. არც სასახლეა დანგრეული, არც სამინისტროები.

მერე მალაზიები დაათვალიერეს. ძალიან გაუკვირდათ, რომ თბილისში ჯერ კიდევ ყოფილა ოქრო-ვერცხლი, საათები, საყურეები, ბეჭდები, ძეწკვები და სხვა სამკაული.

რუსეთშია, — სთქვეს ბალშევიკებმა, — ოქრო-ვერცხლის, საათების და სამკაულის ხსენებაც არ არის. ლენინს ეკლესიაში უნდოდა ჯვარი დაეწერა ერთ ქართველ ქალზე, მაგრამ მთელ მოსკოვში ბეჭდები ვერ იპოვნეს და ამის გამო ქორწინება ჩაიშალა. თქვენში ქალ-ვაჟნი ისე ლამაზად არიან ჩაქმულნი. თითქოს საქორწინოთ ემზადებიანო. არა, სადა შოულობთ ან ტანთ-საცმელს ან ფეხსაცმელს?

— ვერობიდან მოგვაქვს.

— სასმელს სადღა შოულობთ?

— სასმელსა? ჩვენ თითონ ვამზადებთ. ვენახი ბევრი გვაქვს. არაყსაც ჩვენა ვხდით. ლუდს კიდევ ნემცები ხდიან — დიტრინი და ვეტცელი. მიერთვით რამდენიც გნებავთ... მერე განა რუსეთში სასმელი არ არის?

— არა.

არც ოტკა არის?

— არც ოტკა არის. საცა დენიკინის ჯარი მივიდა, რაც ოტკა იყო სულ დალია. საცა ჩვენ მივედით, რაც ოტკა იყო, სულ დავლიეთ.

— რატომ არ გამოხდით? პური და ქერი ხომ ბევრი გაქვთ.

სად ჯანდაბაშია?.. ხალხი არცა ხნავს, არცა სთესავს. ერთმანეთთან ჩხუბს ვუნდებთ. დავამარცხებთ დენიკინელებს, პურს წავართმევთ, დავამარცხებენ პურს წავგართმევენ. ჰო... ერთი ესეც გვითხარით: თქვენ ბურჟუებს რა უყავით? ყელები გამოსჭერთ?

— არა, ჩვენი ბურჟუები ყველანი სოციალისტებათ ვადიქნენ, მენშევიკებათ.

— სპეკულიანტები? **ეროვნული**
— სპეკულიანტები? **საქართველო**
ტები არიან.

— მენშევიკები?

— დიახ. ბალშევიკები სულ ორიოდ გვყავს, იციც მეტად მშვიდობიანი ხალხია. მიხა ცხაკაია, მაგალითად, ყოველგვარი ბრძოლისა და აჯანყების წინააღმდეგია.

— ჰო. ქალებს რათ აძლევთ ნებას შლიაპების დახურვისას? შლიაპებს ხომ ბურჟუაზია იხურავს?

— ჩვენი ქალები სოფლად და ქალაქად ეხლა ყველგან შლიაპებს ატარებენ. ჩვენ არავის უშლით ჩაცმად დახურვას.

— კი, მაგრამ სად შოულობთ მაგ შლიაპებს? რუსეთში ქალის შლიაპების ხსენებაც კი დიდი ხანია აღარსად არის.

— შლიაპებიცა და ფეხსაცმელიც საფრანგეთიდან და იტალიიდან მოდის.

— ფეხსაცმელიცა გაქვთ?

— დიახ, ფეხსაცმელიც, ჩუღუქებიც, წინდებიც. ყველაფერი მოგვლის ვერობიდან.

— საკვირველია. საოცარია. რუსეთში აღარც ტანთ-საცმელია, აღარც ფეხსაცმელი.

— რატომ ვარზავიდან არ მოიტანთ?

— პოლონეთს ვეომებით... პოლონეთსაც, ფინლანდიასაც, უკრაინას, აზერბაიჯანს. ყველგან გვინდა ბალშევიკობა ჩავათესლოთ. იქნება საქართველომაც მიიღოს ბალშევიკობა? რას იტყვიან?

— მადლობელი ვახლავართ. ჩვენთვის ნუ სწუხართ. თქვენ თქვენს თავზე იზრუნეთ.

ბალშევიკებმა ვადასწყვიტეს რუსეთში დაბრუნება და მთელი რუსეთის გამენშევიკება.

ბალშევიკ-მენშევიკი.

სურათები

(წირქვალისათვის).

ერთხელაც უნდა ვისკუპო მივმართო სოფლის მამებსა... წირქვალში ჩვენ ბევრს პიპოვნით ხალხს მისგან განაწამებსა!

მაცდურის ხელთა აპურობით ღმერთს შეავედრებს - გლეხებსა! სიმთვრალით ეკლესიაში ველარც კი ადგამს ფეხებსა!



რა „სულიერი“ მამა?
 ნიშეში წინამძღოლისა!
 პირუტყველ გრძნობის ამყოლი
 საზღვარი არ აქვს ძლომისა!

რა საუცხოვო ტიპია
 ქრისტიანობის ცნებისა?..
 მოდი და სცადე განდევნა
 ამ საორმოცო სნებისა!.

დარაჯათ იქვე უდგია
 მისებრი სამღვდლოება...
 ხომ გახსოვთ როგორ დაიცვეს
 და რა კულები მოება?!

სად გავიწილა, რომ მგელმა
 დახია მისებრ მგლის ტყავი...
 და ამ ზნე წამხდარ ხუცესსაც
 ვუხილოთ ისევ ცხვრის თავი!.

ჭიათურელი ეშმაკი.



ჯერანა და მერანა.

ერანა.

რა ხანია ვერ გხედავ,
 სით ატარებ ჯერანა?

ჯერანა.

ხან აქ, ხან იქ, გამრიყავს
 ეგ საწუთრო ვერანა.

ერანა.

ერთი რამე გავიგე,
 ნეტა თუ მართალია?
 გაკომუნისტებულია
 ოსმანა და ალია!..

ჯერანა.

რუსეთი—საქართველოც
 იცი?! მორიგებულან.
 ჩვენი მენშევიკები—
 გაკომუნისტებულან!..

ერანა.

აზერბეიჯანისკენც
 იწიწოდენ ბიჭები,
 ლამის კინალამ გავხდით
 იმპერიალისტები!..

ჯერანა.

ბათუმი და შამხორი
 საქართველოს ეწყობა,
 ნუ თუ შენ ეს გგონია
 იმპერიალისტობა!..

ერანა.

ტყვილათა ვსთქვი, თორემა
 ვინ მე, ვინ პოლიტიკა?
 მე უფრო მეხერხება
 შინაური კრიტიკა.

ჩვენი თემის საბჭოებს
 კაცო რა ეშველება,
 აღარც დღეი, არც ღამე
 არ უნდათ მოსვენება?

ცხოვრება აგვიმჩატეს,
 სამოთხე დაგვიარსეს:
 ყველა გზები მოკენჭეს,
 ჭაობები დააშვრეს.

ნულარც შეკოლებს კითხულობთ,
 ნულარც სამეკითხველოსა,
 ვაჭრობაში წინ უსწრეს
 შაფათას და ელოსა.

ტელეფონის ბოძებიც
 გარდი-გარდმო აწყვიდა,
 მოდის, მოდის კულტურა,
 დიდი წინსვლა გვატყვიდა.

ჯერანა.

ჩვენი მაზრის ერობაც
 ღმერთმა ტკბილათ ახსენოს,
 ლამის სამოთხეს გვწიონ
 სამუდამოთ მოგვასვენოს.

ჩვენს ულუფა საქონლებს
 ეზოს გაგვიტარებენ
 და ოზურგეთს შერე კი
 ურმით ჩაიტანებენ.

შერე იქით და აქეთ,
 დაჯდება ოთუს ბირათ,
 ეხლა თითონ მიხვთებით
 ეფათ მოგვდის თუ ძვირათ.

ყველა გადასახადებს
 იქა გვათრაქვიებენ,
 ერთი სულ გზაში უნდა
 პირის პირს გვახთიებენ.

ჰაი, სად იხარჯება
 ჩვენი თავის ნაკლავი,
 დანა სხვენზე არისო—
 იქ მიჰყავენ საკლავი!..

ერანა.

პლანები ხომ კარგი აქვთ
 ყველა გამოსწორდება.

ჯერანა.

პავლეს მოსვლამდე ძმაო,
 პეტრე აგვიგორდება.

შხანკოლა.

გამოცანები.

1.

(ლანჩხუთისათვის).

წვერი უგავს ერთგვარ ცხოველს
 და ფაფარი ქურთის ბაჩას,
 მოსამკალი უხვათ მოსდის
 თუმც არ სთვსავს ყანას, ბაღჩას.

ხალხმა ყველგან გააშვიდა
 ცხვრისა ტყავში იცნეს მგელი,
 (მღვდელმა თავი რომ დაიხრია
 სთქვეს, რომ იქაც ჰქონდა ხელი).

ორი მრევლი ჰყავს საჯიჯგნათ,
 მდიდრებისას თვითონ დადის,
 ღარიბებში—სხვა მღვდლებს უშვებს
 ამ რაშორით ფონში გადის.

ოთხ კლასის და გიმნაზიის
 მოწაფებმა უშავპირეს,
 ვით ღამურას უპანღურეს
 და კატოსკენ გაუპირეს.

იქ კი ქალთა გიმნაზიას
 უვლის, უნდა უპატრონოს.
 სურს მოწაფეთ ტკბილი ლანძღვით
 რომ ზრდილობა მოაგონოს.

მიეთრიე, იეთრიე,
 დიეგდესაც ხმარობს ხშირათ,
 ხან მშობლებსაც შეუკურთხებს
 და ხორხოლობს გასაკვირათ.

ნამუსათ და, ერთ ოჯახში
 თურმე ღამე მიიპარა
 და კინალამ გავვიპარეს—
 (არეგოლვერიცა ვერ ეხმარა!).

ყველგან ძალათ ეჩხირება
 იცის ალლო, ხრიკი, კვანტი.
 ეს ცხრა რჯულა დღეს ბრძანდება
 ნაციონალ დემოკრატი.

ვინც გაბედავს გამოცნობას
 და უკან არ დაიხევა,
 მისთვის ჯილდოთ მიმიძღვნია
 მისი ლოცვა და კურთხევა.

გენუშრე

2.

(ახალციხისათვის).

საგამოცანო ეს პირი
 ესფერთა წრეში სწერია;
 ლიდერობს კიდევ იმათში,
 გრძელი აქვს თმა და წვერია.
 (ნუ წამწყმენდ ღმერთო თქმისათვის
 ხანდახან ცოტა შტერია).

თავი მას ბრძენი ჰქონია,
 სხვები არ უჩანს ჩირადა:
 ესდევთა ლანძღვა-თრევაში
 ითვლება პირველ გმირათა.
 (რაფერ ვსთქვა, თორემ ხანდახან
 ორფეხსაც ხედნის ვირადა).

ახალ ციხეში ყველაზე,
 მაღალი არის ტანადა,
 თუ სადმე „სტალი გაიწყო“
 სულ ყველგან არის თამადა
 (არეჩებისა თქმაც ქე უყვარს
 გადაქცეულსა ჭამადა).

გიმნაზიაშიც მსახურობს,
 მისი ხმა კლუბშიც ხშირია;

ლოტო და კარტის თამაშმა
გახნადა როგორც ჩხირია.
(ვით რასპუტინი იმ გვარათ
გაშვერილი აქვს ცხვირია).

ხათა.

უურ-მოკრული საუბარი.

— რაშია ამხანაგო საქმე თუ იცი,
აგი რკინისგზელები რომ დარბიან?

— საჩუქრებს ურიგებენ მეგობა-
რო, ახლა რომ გროვდებოდა მთელს
საქართველოში ფრონტზე გასაგზავ-
ნათ.

— კი მაგრამ ესენი სადაური
ფრონტოვიკები მყავს ამ სადახლოში,
ერთი ტყვია რომ გავარდეს სუყვე-
ლა თავმოგლეჯილი გაიქცევა აქე-
დან.

— რა ვიცი ძმაო, კი დოურიგეს
და! ან მაგინმა როგორ იკადრეს მა-
გის აღება, ხომ იცოდენ, რომ სუ-
ყველა ჯარს მიაკლდებოდა ფრონტ-
ზე?!

— კარგი თუ კაცი ხარ. მაგისთა-
ნებს კადრულობენ?! აგერ კოლია
და გრიშა მოდის მიუღიანთ, პირი
ავარიდოთ. თორემ „შერცხვებათ“.

— ბრავო „სადახლოს ფრონტო-
ვიკებო!“.

ოქრუას ბიჭი.

აღსრულდა.

(რკინის გზის საავადმყოფოში).

აღსრულდა რასაც ველოდით
ვისაც ეწოდა მწარითა,
„ხათაბალაში“ რაცა ვთქვით
შეგვიფუცხუნდენ ამითა.

ბევრი გასწორდა... ზოგი კი
ტიკებსა ავსებს შხამითა
რათა ანთხიონ ყოველგან
სიმწარე დღე და ღამითა.

არ ნაღვლობს სხვების გასაჭირს
ოღონდ თვით გასკდეს ჭამითა
მოსამსახურე დაბალი
მით მიგორავენ ხრამითა.

სადაც ოთხია საჭირო
მოსამსახურე ქალები,
იქ მხოლოთ ერთი მსახურობს
ბენცელობს განაწვალები.

არბენიებენ ისეთად
ფეხზე არ უძლებს ნალები,
გამოლევია სინსილა
მუდამ ნაწოწილები.

და ამის გამო უნდომნი
კვენსიან განამწარები

ლოგინში „სუფთად“ მიუღით
მუცლის „მშვენიება“ ქარები.
(ხათაბალა ვარ თვით ვნახე
ამიტომ დავიარები).

ვისით არის მსახურები
მხიარული, „ბედნიერი“?!
იქ უმეტეს, სადაც წევან
საპულრენი მშვენიერნი?!.

— ზანდუკელით... გამგე არის,—
თუ გიყვარდეთ კითხეთ ერთი
მსახურთ რისთვის არ ღებულობს
გაუწყრება განა ღმერთი?!..

და თუ არა, რას უყურებს
ჩვენი ძია ზანდუკელი?!
(ხომ არ უნდა ხათაბალამ
დაუზილოს მაგრათ წელი?!)

ნუ თუ კედლის ცივი ქვები
უფრო არის გრძობიარე,
ვიდრე სიცხით ბრუ დასხმული
ავათმყოფი მწოლიარე?!

კედლებს უფლით, ასუფთავებთ
და სულდგმული გავიწყდებათ...
გარეგნული „ფეექტებით“
კარიერა გაგეხნებათ!

მაგრამ ვიდრე ქვეყნათ სცოცხლობს
ხათაბალა უშიშარი,
უკაცრავათ თუ დაგეხმოს
კარიერის ტურფა კარი!

ხათაბალა.

მოქეიფენი.

კვირას, 13 ივნისს ქართულ კლუბ-
ში უნდა შეერთებულიყვენ ყველა
ქვეყნის მოქეიფენი, მაგრამ მათ შე-
ერთებას ხელი შეუშალა წმინდა
ილიამ; მან ნადრევათ მიიჩნია მო-
ქეიფეთა შეერთება, რადგანაც ჯერ
ნიადაგი არ არის მომზადებული სო-

ცილოზმის დასამყარებლათ და ქვე-
-ქუხილით დააშინა.

იმისდა მიუხედავათ, რომ ჩერქე-
ზოვის ქუჩაზე ნიაღვარი მოვარდა,
(წალეკა ნახევარი თბილისი და ერ-
თიანად გაანადგურა კომუნისტების
პარტიული ბიურო, რომელიც დაარ-
სებულია რუსების ნაციონალურ საბ-
ქოში), საღამოზე მაინც მოვიდენ
მოქეიფეთა რამოდენიმე ლიდერი;
მათში ირჩეოდა ჩვენში კარგათ ცნო-
ბილი და მოქეიფეებში პირველი
კაცი ვიქტორ ქავთარაძე.

როგორც ყოველთვის ამ საღამო-
ზედაც ვიქტორმა გასწია თამაღობა,
წყველა-კრულვა უძღვნა წმინდა ილი-
ას და ალავერდი გადავიდა პაოლო
იაშვილთან. სხვა და სხვა მიზეზების
გამო პაოლო იმ საღამოს ვერ იყო
გუნებაზე რაც ყველამ შეამჩნია.

ბევრი აცინა დამსწრე საზოგადო-
ება იუმორისტმა კოწო ანდრონი-
კაშვილმა თავისი მოხდენილი თამა-
შით, რისთვისაც ის უეცრივ შეყვა-
რებულ იქმნა ახალგაზდა მხევალოთა-
გან.

ერთმა მსახიობმა არა კადნიერად
მოიხსენია დამსახურებული საზოგა-
დო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი,
რომელსაც ვითომ ხელი შეუშლია
ლოთების შეერთებისთვის, (რადგან-
ნაც იმ დღეს საარტისტო საზოგა-
დოების დარბაზში მისი ჟურნალის
ასი წლის არსებობის იუბილე ყო-
ფილა, ხოლო მისი დაბადებიდან
ორმოცდა ათი წლის თავი, საზოგა-
დო მოღვაწეობის დაწყებიდან—ას
ორმოცდა ათი წელიწადი და სხვა),
რალა მანდამინც ჩვენი ქეიფობის
დღეს გამოგვეჩხირაო.

შა—გომ.



— ღმერთმა გაუმარჯოს იმ კაცს, ვინც ალალ-მართალი შრომით
სკამს ლუკმა პურს.

„ქათამის ბინა ჟანდარაჲ“

(იგავი).

I

მოგეხსენებათ: ოსი ქურდ-ბაცაცაა; თუ ვინცოდა თხის თავი ვერ იხელა, ქათამზედაც უარს არ იტყვის...

ერთხელ გლეს ბესოს დედალი დაეკარგა და ეჭვი თავის მეზობელ ოს ტატოზე მიიტანა.

გაიგო ეს ტატომ, მაგრამ აინუნ-შიაც არ ჩაავლო; ბესოს კი ეგონა ტატო ისინიღისებს და ქათამს და-მიბრუნებსო...

ბესოს ცოლმა ნინომ თავი გამო-იღო და „ქვეყანა“ შეუყარა:

— ჩემი ქათამი დამწყვდეული ყავს ტატოს ცოლ თინოს და არ მძღვესო. დღეს დილით ჩემ ეზო-დან გაძრაო.

თინო თავის მხრივ წიწმატებდა და თავს იმართლებდა:

— ქათამი ქათამსა ჰგავს... ტატო არ მომიკვდება, რომ... ერთი კვირა-ცაა, რაც ჩემმა ქმარმა ქალა-ქიდან ამოიყვანაო...

გაიმართა ერთი ალბაქოთი. ჩხუბ-ში ჩაერია ოსი მამასახლისი სეინო.

— ტატო, გამოიყვა ეგ ქათამი, გაუშვი ამ ჯვარდინა გზაზე და ვის ეზოშიც შევა, ეგ ქათამი იმისი იქ-ნება, — სთქვა მამასახლისმა და თანაც თვალი ჩაუკრა: მიხვდი?

— ძალიან კარგი სამართალია, — დათანხმდენ ყველანი: რასაკვირვე-ლია ქათამი თავის ეზოს არ დაჰკარ-გამს... მონახამს...

II

თინომ ხელად გამოარბენა სახ-ლიდამ ქათამი და დასვა შუა გზაზე ორივე ეზოს თანაბარ მანძილზე...

ქათამმა ჯერ თითქო დააპირა ბე-სოს ეზოსკენ გაქანება, მაგრამ... რილასიც კენკა დაიწყო და გაჰყვა ტატოს ეზოსკენ... შევიდა კიდევ ეზოში...

ხალხმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება „ცილის მწამებლებს“ ბესო და ნინოს... მათ ბრაზი და მოსდი-ოდა თავიანთ ქათამზე...

— ბესო, ბოდიში მოიხადე ეხ-ლავე თორემ, ტატომ რომ მოინდო-მოს ციხეში ჩავსვამს ქურდობის ბრალდებისთვის...

— ბოდიშს მაშინ მოვიხდი, თუ ეგ ქათამი შევა თავის ქანდარაზე, — გაუგო კუდიანობა ტატოს: ქათამი

ნაკმაზს რომ გაჰყვა, ეგ ჯერი არ არის, საქმე ის არის—ქანდარაც მო-ნახოს... აგერ, დროა და ქანდარის-თვის ვეღარ მიუგვინა... დახე რო-გორ ყილგებს... ქათამის ბინა ეზო-კი არა, ქანდარაა...

ოსებს ფერი ეცვალათ, ხალხსაც კეკაში დაუჯდათ ბესოს სიტყვა.

— აბა ახლა ჩემ ეზოში გაუშვით ეგ ქათამი, როგორ მალე მონახოს თავის ქანდარა, რა საჭიროა ფილო-სოფოსობა?!

მართლაც გაუშვეს ბესოს ეზოში ქათამი, ხელათ მონახა თავის ბინა და მარდათ შეხტა ქანდარაზე...

რასაკვირველია, პირ-შავებათ ოსე-ბი გამოვიდნენ, საბოდიშო საქმეც მათ დაემართათ...

დღესაც ოსის პოლიტიკოსები ტყვილად პირს ირცხვენენ: ტატომ თუ ერთი ლიტრა ნაკმაზი დაკარგა, მგონი ისენი თავებს დაკარგავენ თუ არ დაიშლიან თაღლითობას.

დუშელი ვანო.

ზიათურელი აფერისტის სიმღერა. (მიბაძვა)

პრიკაშიკი გამოცდილი, არვინ არის ჩემისთანა, ხრიკები შემისწავლია, ოსტატური შნოც მაქვს თანა!

კოწიას ძლიერ უყვარვარ, ნაქები ვარ ჯაყელთანა! „აქციებიც“ შევიძინე, მრეწველიც ვარ შუათა!..

კიდევაც ვსოციალისტობ, (მხოლოდ სიტყვით ხანდი ხანა) ნამდვილათ კი წინამდღეში დეფარწმუნე ეს ქვეყანა.

ბობოლგების ლაქია ვარ და იმათი მაჩანჩალა... ამიტომაც ინციდენტი ხშირათ მხედება მუშებთანა...

ზოგს, ქირები დავაკელი, ზოგმა ცრემლიც გადმოღვარა, ქარხნის მუშებს ტყავი ვაძვრე არც ერთი არ შემებრალო!!!

რას მიქვია პირობები, ან ხელ-შეკრულობის ძალა, ცაი ქუდათ არა მყოფნის და ქალამნათ ეს ქვეყანა!

სამწუხაროთ ხელს არ მიწყობს დღევანდელი დრო და ხანა. ცენტრალურმა საბჭოს კრებამ გამაწითლა მუშებთანა.

შუბლზე ოფლი მომდინდეს მე არ მახსოვს ამისთანა მაგრამ ვიმ მე, ვინ სირცხვილი!.. ოდელია, ნანი—ნანა...

ლაფონ-ტეფოშვილი.

რკინის გზის რამე-რუქე.

ხმები დადის, რომ 3000 მან. ერთდროულ დახმარებებს, იმ გვართ როგორც ეხლა მიიღეს რკინისგზე-ლებმა, ყოველ თვეს დაარიგებენო. ამ საშვალებით სურთ ალაგმონ და ყინულზე გააცურონ სპეკულიანტები, რადგან მათ არ ექნებათ საბაბი მო-უმატონ ფასები სურსათ-სანოვაგეს იმ აზრით, რომ რკინისგზელებს ჯა-მაგირები არ ემატებათ მუდმივით, არამედ ერთდროული დახმარება ეძ-ლევათ. რამდენათ გასქრის ეს სა-შუალეობა მომავალი დავანახვებს.

— ცენტრალურ გამგეობით შუა-მდგომლობამ შრომის სამინისტრო-სადმი კანტორის მოხელეების შესა-ხებ უკვე ნაყოფი გამოიღო, ყველა კანტორის მოხელეს ამიერიდან ჯა-მაგირები ათჯერ ჩეტი დაურიგდებათ. შესაძლოა, რომ მათ ჯამაგირის რა-ოდენობამ გზის უფროსის ჯამაგირს გადააქარბოს. ამ ამბის მიღებისათა-ნავე ყველა კანტორის მოხელენი შეიკრიბნენ სამმართველოში და და-ადგინეს მადლობის აღრცით მიმარ-თონ მათთვის კეთილ მსურველ ცენ-ტრალურ გამგეობას და შრომის სა-მინისტროს.

— რკინისგზელთ, რომელთაც მე-ტის მეტათ უძნელდებათ შაქრის უქონლობა, შეუძლიანთ მიგიდენ სასურსათო კომიტეტის კანცელა-რიაში, ნახონ, თუ როგორ მიირთ-მევენ ზოგიერთი მოსამსახურენი ტკ-ბილ ჩაის, და შაქრის შორიდან მზე-რით მაინც შეიმსუბუქონ თავიანთი აუტანელი მდგომარეობა.

— შევიდა-რა სასურსათო კომი-ტეტი მოსამსახურეთა კრიტიკულ მდგომარეობაში, გამოწვეულს ჯამა-გირების სიმკირით, საგრძნობლოთ დაუწია ფასები სურსათ-სანოვაგეს და სხვა საქონელს. მაგალითად გირვანქა თხილი, რომელმაც ფასობდა 10 მან. ერთბაშათ დაწეულ იქნა 18 მანე-თამდე, 30 მანეთიანი ყუთი „გილ-ზით“ დაწეულ იქნა 50 მანეთამდე. — სად. ნავთილის 1 კლასის ბუფეტის ლიჯარადრეს გადაუწყვე-



ტია დღის შემდეგ გაანახევროს რკინისგზელებსადმი მისაცემი იაფფასიანი სადილის ულუფა, რადგან აქნობამდე ნამეტან დიდ ზომის ულუფას არიგებდა. რკინისგზელები ალტაცებით ეგებებიან მის ასეთ გადაწყვეტილებას.

გ. ვარდენიშვილი.

სამბრედი.

(ბრძოლის ველზე მიღებულ წერილის გამო).

რკინის გზის ტაძართან ამბები ხდება —

ცხოვრება ჰყვავის და კმუნვა კი კვდება.

სიცოცხლე უმაღლეს წერტილზე აღის, დაღმართით — აღმართზე დაჰქრის და დაღის.

როს ჟამი საღამოს ბინდს დაჰკრავს სხივებს და გადუშავებულებს ელფერს და მძივებს.

ამ დროს აქ ვაჟები იყრიან თავსა და ჰქმნიან უცხო და სხვა სანახავსა.

და დღეღამონებიც კოპწია სახით, იქერენ ყმაწვილებს ცდუნების მახით.

აქვთ მხიარულება გიჟური ვნებით — (ჩვენ ამის გამგონე სირცხვილით ვდნებით).

სიცოცხლა და ხარხარს არ უჩანს ზღვარი — მათ ზეიმს ამშვენებს ხასხასა ცვარი.

არ ესმისთ სამშობლოს ვაება, ტანჯვა — მათ იდეალათ აქვთ გრეხვა და პრანქვა.

აწ დროა შეიგნოთ ქალებო — ვაჟო: ასეთი მოქცევა „ნე ვსეგდა ვაჟო“.

თორემა გაგკიცხავთ მყობადი, ხანა და გვიან იქნება ზურგისა ფხანა.

ჭავჭავი ბზიკი.

ახერბეიჯანის ბრძოლის ველი.

„ხათაბალას“ დეპეშები.

ქ. ზესტაფონი. ქალაქის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა გამგეობისაგან წარმოდგენილი 1920 წლის ბიუჯეტი, რომლის ერთ-ერთ მუხლში, სახელდობრ: „მოულოდნელ ხარჯებში“ შეტანილია რამოდენიმე ათასი მანეთი „კუშეტკის“, ბალიშის, ქვეშავებ და ზესახურავის შესაძენათ ზოგიერთი „მძინარი“ ხმოსნის კრების დროს მოსასვენებლად. ამ ხარჯის ვალების საჭიროება დაამტკიცა საბჭოს უკანასკნელმა სხდომამ, რაც ხმოსან ჭყობძეს მთელი სხდომის დროს, საღამოს 7 საათიდან 11-მდე, გაწვალებულად, დაუწოლელად, ზეზურად მჯდომარეს სძინავდა, სთვლემდა და ხვრინავდა. ასეთი გატანჯული ძილი ღსრულიად არ შეფერის მოქალაქეს როცა დიდი ხანი არაა რაც იმავე საბჭომ გამოიმუშავა „ნორმალური დასვენება“ და დაამტკიცა.

ელვისო.

ბათოში. მივიღეთ ვილსონის რადიო განკარგულება: „თანახმათ სენატის დადგენილებისა აკრძალულია ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მოქალაქეების მიერ ალგოკოლის ხმარება.

შენიშვნა: ეს დადგენილება არ შეეხება ამერიკის მოქალაქეებს თუ ისინი საზღვარგარეთ, მაგ. ბათუმში ცხოვრობენ. ვილსონი“.

ამ ცნობას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ბათუმი. განსაკუთრებით ქალები და კაფე-რესტორანების მებატრონეები. ამ დღეებში ელიან ამერიკელების რამოდენიმე ტრანსპორტს. მოდიან ალგოკოლის მოყვარული ამერიკელები. მათ მოლოდინში უკვე გაიხსნა ახალი რესტორანები: დონდუკო-კორსაკოვის ქუჩაზე 13, სმეკალოვის 6, მარიამის 23, დანარჩენებზე თითო ოროლა. გაიხსნა აგრეთვე 7 არაყისა და 17 ლუდის სახდელი ქარხანა, 10 საროსკიპო სახლი (თითოში 50 ქალია).

სომხებმა გადასწყვიტეს განსაკუთრებული ზემოთ შეხედენ ალგოკოლის მოყვარულ ამერიკელებს, როგორც მოწინააღმდეგეს სენატისას, რადგან სენატმა უარი განაცხადა სომხებზე მანდატის მიღებაზე.

გრ. სლუჩინი.

ოკრიბა. რადგან სიძვირის გამო ხასიათი მიიღო და ვერავინ თარბა ხომამ ვერ გასჭრა მათთან საბრძოლველად, ოკრიბის მხარემ ახალი, ჯერ არავისგან ნახული საშუალება გამოიგონა ამასთან საბრძოლველათ. უნდა გაიჩინოს ყველა სოფელმა ორორი „დღეობა“ ერთ კვირაში, ოთხ დღეს მთელმა კუთხემ მოიყაროს თავი ამ ერთ სოფელში და „დაიკმაყოფილოს“ თავი. მეორე ოთხ დღეს მეორე სოფელმა და ასე ბობომდი. ამნაირად მთელი კუთხე მუდამ დღე ქეიფშია და შიმშილობისა და სიძვირისას ვერაფერს ტყობილობენ.

შეთე.

ლანჩხუთი. ქალაქის ბალის დაარსებამ რამოდენიმე მსხვერპლი შეიწირა: ყარაულის მიერ ჯერ ჯერობით მოკლულია 4 ღორი და დაქრილია 6. დაქრილია აგრეთვე 1 ძალი და „პლენში“ იმყოფება 13 თხაი.

ქალაქის გამგეობამ ნიხრი დააწესა რკინეულობაზე ქედლებში, მაგრამ იქ რომ მიხვალ გეტყვიან: ეს ნიხრიანია და ეს უნიხროა (უმანდელი გაკეთებულია). შეხედავ თოხი იყოს თუ სახნისი ერთი წყება გამოლოყვილია და მეორე კი კარგია. ე. ი. გლახა რომ არის ნიხრიანია და უკეთესი უნიხრო. თან გაიძახიან ნიხრი ვალესე და დალიეო.

ჩიბათი. თემის ფულის გამწვრრებმა გადასწყვიტა: გადასახადები ყველას თანასწორათ გააწერონ! იმიტომ რომ, რადგან თანასწორი უფლება აქვს მდიდრებს და ღარიბებს არჩვენებშიო! თან იმიტომ, რომ არ შეგვწევს უნარი ანგარიშისა და გამოკვლევისა, ამისათვის უფრო ადვილია თანასწორათ გაწერაო.

ი—ლო.

ჭიათურა. ჭიათურის მოქალაქენი დიდათ გაკვირვებულნი არიან, იმის გამო რომ ამ ორი თვის განმავლობაში შავი ქვის სააქცი საზოგადოებაში მხოლოდ ორჯელ დაარღვია მუშებთან დადებული სავალდებულო ხელშეკრულება! რომელიც გამოიხატებოდა მუშების უკანონო დათხოვაში და ხელ ფასების ჩამოკლებაში.

ლ.-ტეფო.

სუფსის რაიონი. საბჭოში პატარა საქმეზე დიდმა ხათაბალამ იფშტვინა.

— ვინაიდან სანიტარულ კომისიას დღიდგან არჩევისა სრულებით არ გაუარია ბაზარში, ამისათვის საბჭომ დაავალა გამგეობას სანიტარული კომისიები დღეში ორხელ შეაქანჯალოს მასაჟის ვაკეთებით.

— ვინაიდან ეკლესიას პატრონი არა ყავს, ამისათვის ადგილობრივმა ვაჭრებმა, წინააღმდეგ ერთისა, დაადგინა: ბაზარში მოგროვილი ნაგავი მოთავსებულ იქმნეს ეკლესიის გალავანში და სისუფთავის თავიდან ასაცილებლათ ბაზარში რაც ღორები იქ იქნეს ჩარეკილი.

— უგზო-უკვლოთ დაკარგული ყოფილი ნატანების ბუფეჩიკი დიდი შრომის და ენერჯის დახარჯვის შემდეგ მილიციამ აღმოაჩინა.

— სპეკულიანტების მორიგი კონფერენცია ტენიკურ დაბრკოლების გამო აქ აღარ შესდგება. დანიშნულია ნატანებში.

— სადგრის ბაქანი ვინაიდან მოხეტიალე ქალ-ვაჟთა ჯგუფს ვერ იტევს, ამისთვის განძრახვა სადგურის გადაკეთება, რაც ეთხოვა სადგურის უფროსს.

— სისწორით ლაპარაკის შესასწავლათ არშიყობა დანიშნულია სლავიანურ ენაზე.

ოლოლე.

ჩიბათი. ქალაზე ერთ კუთხეში ქალებში ჭორი მეფობს, ამ ჟამათ ყველა გრილოში სხედან და გამოაქვან ათასნაირი, ერთმანეთში მტრობის რეზოლიუციები, ერთი მეორეს კიდებენ. საჭიროა დასამშვიდებლათ ერთი დივიზია ჯარი თავიანთი არტილერიით და კარგი კამანდრებით. უამისოთ არ მოისვენებენ.

ი. იუსტინაიშვილი.

თბილისის რ. გ. დეპო.

რევიზორი მიქაძე და მეორე—გიგობერია, დმერთმა შეჰყარნა ერთ ალაგს ორთავე ერთი ფერა.

პურს არ აძლევვენ მუშებსო აგი რა დასაჯერია! ავი ენები ბევრს იტყვის, კაცი კაცისა მტერია.

ზოგმა შემანქანება და უფროსებმა თუ ინება,

მოწიწებით მიართმევენ, რამდენიც უნდათ იქნება?!

სულ სხვა არის დაბალის და მაღალ პირის კუთვნილება, მასთანავე ნაცნობ პირთან წეს-დებასაც აქვს ცვლილება.

ახლა მუშამც უნდა სთქვას რომ მეცო მეკუთვინისო განა?!

უფროს პატივს აღარ სცემენ გაგიჟებულა ქვეყანა!.. მეგობრობა, ნაცნობობა, ეს ხომ ყველგან ცნობილია, ერთი მითხარ რევიზორის მუშა რაღა ძმობილია!..

ქოფაკი ბერუა.

მესტვირული.

(კიათურისათვის)

ხელში ავიღე ქამანჩა მსურს ვიმღერო მესტვირული, კიათურის ვაჭრები და მათი საქმენი „გმირული“ სათითაოთ ჩამოვთვალო ვნახოთ რამდენი ცალია, კიათურელ ეშმაკს ვიცით დღეს ამათვის არ სცალია.

ინტელიგენციას მოსდგა უფრო მაღალი ხალხია, (იკურთხოს მისი ოჯახი ბევრს კი ჩააცვა თალხია).

პირველი—ვაჭრანქმსტვირული დღეს მეწისქვილეთ გემსაქროს, მინდს იღებს ზორბა ჯამითა კაცი იმ რიგათ წამხდარა.

მეორე—ისმაილ ალა, არ განირჩევა მელაში „სპიჩკას“ არ მოგცემს ფულათა, რომ იმტროვოდე ბნელაში.

მესამე—გახლავსთ მევახშე ცნობილი ფილიმონია ერთ ას თუმნიან ვექსილსა მოარუნია ონია.

ეხლა შევივლი ლიღინით დავითის არამხანაში. (იქ ლამაზ ქალებს იხილავთ, სიცოცხლეს ამ ქვეყანაში).

ვანოსაც ვეტყვი, ვაჭარსა არ იქნება უნიკობა, (სხვისი ფულებით ვაჭრობა ვერ არის კარგი ბიკობა).

მოვნახოთ ფართლის დუქანი ორი წლის დაკეტილია, გოგილის ნაცვლათ მონათვლეს დაარქვეს წმინდა ილია.

ვნახოთ მარკოზის ფართალი ძირს ჩაყრილი, როგორც ჩალა. მაზედ ბევრი მაქვს სათქმელი მაგრამ სტვირი მოიშალა.

მარკოზ ბატონობს ამ ქვეყნათ ჩვენ ვართ იმის მაჩანჩალა, ერთხმათ მოვითხოვთ სუყველა „გადეკილოს ხათაბალა“.

ბუღე-ბუღე.



ორ-გვარი პროტექცია.